ბაჩას კიჭი

არა და აღარ დაუცხრა

პატარა ბაჩას კიჭი,

ჰოდა, დედიკომ ექიმთან

წაიცუნცულა ბიჭი.

როდესაც სახლში დაბრუნდა,

ალერსით ჰკითხა ლილიმ:

- ჩემო პაწია ძამიკო,

კიდევა გტკივა კბილი?

დას გაკვირვებით შეხედა

თვალებცქრიალა ბაჩამ:

- აბა, რა ვიცი, კიჭი ხომ

ძია ექიმთან დარჩა!

შოთა ამირანაშვილი

პირის ბანა

პირსაბანთან ლიანას

საყვედურობს თამარი:

— მარტო ლოყებს რომ იბან,

ყური შენი არ არის?

ლიანამაც პასუხი

განა დააგვიანა?

— პირსაბანი ვიცი მე,

ყურსაბანი კი არა.

ოთარ შალამბერიძე

თითები

ხუთი ტყუპი _ ათი თითი

სუყველაფერს ზუსტად ითვლის.

ხუთი მარცხნივ, ხუთი მარჯვნივ.

არასოდეს იღლებიან

არც თამაშით და არც გარჯით.

ხუთი მარჯვნივ, ხუთი მარცხნივ.

აბა,ტაში, ჩქარა ტაში,

სუყველაფერს აკეთებენ,

ყველა ტოლი არის ათში!

რა კარგია, აბა ტაში!

უყვართ წყალი, საპნის ქაფი

და ათივე არის სწრაფი.

ხან უჭირავთ ჩანგალი,

ხან - ფერადი ფანქარი.

ხან - ვაშლი და ხან - ბურთი,

ხან -წიგნი და ხან - ფუნჯი.

რადგან ყველა ერთურთს შველის,

აღარც საქმე გახლავთ ძნელი!

ზოგი სწრაფი, ზოგი ნელი:

ნეკი, არათითი, შუა, საჩვენებლი და ცერი!

პირიქითაც შეიძლება,

ათივე ხომ არის ჩვენი!

როცა საქმეს მორჩებიან,

ერთურთს ბანენ, ფრჩხილებს ჭრიან.

_ კიდევ?

_ უყვართ თურმე თითებს

ჯიბე, როგორც ბუდე _ ჩიტებს.

მარიამ წიკლაური

ყველა შიშის ჯინაზე

სუნს შეიგრძნობს ცხვირი,

გრძელიც, მოკლეც, მსხვილიც.

ყურებს ესმით ხმა და ბგერა,

ახლო _ კარგად,

შორი _ ძნელად

პირი ყველა გემოს ცნობს,

ამბობს _ ,,ტკბილი მწარეს სჯობს!~

თვალი ხედავს შინ და გარეთ

ჩვენს მშვენიერ არე-მარეს.

დღისით _ კარგად,

ღამით _ ძნელად,

იმიტომ, რომ ღამით ბნელა.

გეჩვენება ბუად,

გარშემო რამ თუა.

ვეღარაფერს ეხები,

უკან გრჩება ფეხები,

გეშინია, აბა რა?!

სჯობს, დაგმალოს საბანმა

და გეძინოს დილამდე

ყველა შიშის ჯინაზე!

მარიამ წიკლაური

სხეული

ორი ხელი,

ორი ფეხი

ერთი თავი,

თავზე თმა.

ორი თვალი,

ორი ყური,

“მე ერთი ვარ” _ პირმა თქვა.

ცხვირმა ვერ თქვა, ვერაფერი,

ჩუმად იყვნენ კიჭებიც.

ისევ პირმა დაიძახა:

კაცს ყველანი ვჭირდებით!

მარიამ წიკლაური

აბაზანაში

ეს წყალი და ეს საპონი,

ესეც აბაზანა!

ეზარებათ თხუპნიებს

თურმე პირის ბანა.

ერთი ხელი, ორი ხელი,

ერთად – ერთი პეშვი!

წყალს ვიგუბებთ, ვისხამთ პირზე

აი, ესეც თქეში!

შხაპა-შხუპით შხაპუნით

დავიბანეთ პირი:

ლოყა, ყური, თვალები,

ესეც სუფთა ცხვირი!

ონკანს ვუშვებთ მარჯვნივ, მარცხნივ,

არ გავშინებს საპნის ქაფი.

გავიხეხეთ კბილებიც,

ჯაგრისით და პასტით,

სავარცხელი სლუკუნებს:

ნუ დამღალეთ ვარცხნით.

სარკეში ჩანს ლამაზი გოგოცა და ბიჭიც,

უწკრიალებთ სახე და

უელვარებთ კიჭი!

მარიამ წიკლაური